ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა 61/გ

ქ. მცხეთა

16 ივნისი 2015 წელი

(საქართველოს მთავრობის 2011 წლის 21 იანვრის N26 დადგენილების თანახმად) ერთის მხრივ, მცხეთის მუნიციპალიტეტი, შემდგომში „შემსყიდველი", წარმოდგენილი მუნიციპალიტეტის გამგებლის ზურაბ აბესაძის სახით და მეორეს მხრივ შპს „იბერიასერვისი", მისი დირექტორის **დავით ჯოხაძის** სახით, შემდგომში „მიმწოდებელი" ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე;

1.ხელშეკრულების საგანი

1.1. მცხეთის მუნიციპალიტეტის კუთვნილი ავტომანქანა „შკოდა" სახელმწიფო ნომრებით AO-994-AA ტექ. მომსახურება. (ინვოისი თან ერთვის).(CPV50100000).

2. მომსახურების მიწოდების ვადა და ღირებულება

2.1 მომსახურების მიწოდების ვადაა 2015 წლის 25 ივნისის ჩათვლით.
2.2 ხელშეკრულების საერთო ღირებულებაა 110 (ასათი) ლარი.

3. ანგარიშსწორება

3.1 ანგარიშსწორება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით.

4. მხარეთა უფლება – მოვალეობები

4.1 „მომწოდებელი" კისრულობს ვალდებულებას;
4.1.1 გაუწიოს მომსახურება ხელშეკრულებით ნაკისრ ვადებში.
4.2 „შემსყიდველი" კისრულობს ვალდებულებას:
4.2.2 უზრუნველყოს თანხის ჩარიცხვა ხელშეკრულებით ნაკისრ ვადებში.

5. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების დარღვევისას

5.1 თუ „მომწოდებელი" არ ასრულებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებებს, „შემსყიდველი" წერილობითი ფორმით აფრთხილებს დაიცვას ხელშეკრულების პირობები.
5.2 ვალდებულების კვლავ შეუსრულებლობის შემთხვევაში „შემსყიდველს" უფლება აქვს განიხილოს ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტის საკითხი.
5.3 შესყიდვის არაჯეროვნად ან არშესრულების და ვადაგადაცილების შემთხვევაში „შემსყიდველი" უფლებამოსილია „მომწოდებელს" არ აუნაზღაუროს გასაწევი მომსახურების ღირებულება და დააკისროს პირგასამტეხლო მთლიანი საქონლის ღირებულების 1%-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

6. ხელშეკრულების პირობების კონტროლი

6.1 ხელშეკრულების პირობების კონტროლს მოახდენს მცხეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მძღოლი გიგია სუბელიანი.

7. ხელშეკრულების ძალაში შესვლა

7.1 ხელშეკრულება ძალაში შედის მისი ხელმოწერის დღიდან.

8. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა

8.1 ხელშეკრულების პირობების შეცვლა დაუშვებელია თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულებაში დაფიქსირებული ფასები და უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

9. ფორს – მაჟორი

9.1 მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთ ვალდებულებათა სრულად ან ნაწილობრივ შესრულებაზე, თუ ეს შესრულება გამოწვეულია ისეთი გარემოებით, როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, თუ ისინი უშუალოდ ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე.

10. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

10.1 წამოჭრილი დავები ან აზრთა სხადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნეს ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.

10.2 თუ `მომწოდებელი" და `შემსყიდველი" მოლაპარაკების დაწყებიდან 10 დღის განმავლობაში ვერ შესძლებენ მოლაპარაკების საფუძველზე გადაწყვიტონ დავა, მაშინ ნებისმიერ მხარეს შეუძლია მიმართოს სასამართლოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.

11. სხვა პირობები

11.1 ამ ხელშეკრულებით გაუთვალისწინებელი საკითხები რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით.

11.2 არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის თანხმობის გარეშე.

11.3 ხელშეკრულება დგება ქართულ ენაზე. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

12. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

12.1 ხელშეკრულების მოქმედების ვადა 2015 წლის 21 დეკემბრის ჩათვლით.

13. მხარეთა რეკვიზიტები

„შემსყიდველი"

მცხეთის მუნიციპალიტეტის გამგეობა
ს/კ 236098824
ბანკი: „ლიბერთი ბანკი"-ს
მცხეთის ფილიალი
ბანკის კოდი:LBRTGE22
ა/ა GE11LB0120118541380000
მის: ქ. მცხეთა, ანტიოქიის ქ. N7
მუნიციპალიტეტის გამგებელი

ზურაბ აბესაძე

„მიმწოდებელი"

შპს „იბერია სერვისი"
ს/კ 204982359
ბანკი: „საქართველოს ბანკი"
ცენტრალური ფილიალი
ბანკის კოდი:BAGAGE22
ა/აGE79BG0000000875689101
ქ. თბილისი, აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. N5
დირექტორი

დავით ჯოხაძე